ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი N1

ხარაგაული 13 აპრილი 2021 წელი

სხდომის დაწყების დრო: 10 საათი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ შემდეგი წევრები:

1.ლალი სებისკვერაძე

2.მაკა ქასრაშვილი

3. ვალერი გოგნაძე

4. როლანდი ცუცქირიძე

5.ნატო შათირიშვილი

6.რევაზ შერგელაშვილი

7.ავთანდილ კვინიკაზე

8.ჰამლეტ ბერაძე

9.მარიკა ხარატიშვილი

10.მანანა ტაბაშიძე

11. ნინო ჭიპაშვილი

12. სერგო შველიძე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ვარლამ ჭიპაშვილი.

მერის თანაშემწე გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ინგა ბერაძე.

სხდომის თავმჯდომარე: სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლის დირექტორი ვალერი გოგნაძე.

სხდომის მდივანი : სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეს საჯარო სკოლის დირექტორი ნატო შათირიშვილი

სხდომა გახსნა თავმჯდომარემ, ვალერი გოგნაძემ,მან სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის და მდივნის არჩევა.
2. „ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის ნინო ხუხუას პრეზენტაცია მოქალაქეების ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ ხელისუფლებაში. კვლევის შედეგების გაცნობა.

კენჭი ეყარა წინადადებას დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხრე:12

წინააღმდეგი:0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

საკითხი 1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის და მდივნის არჩევა.

მომხსენებელი: ვალერი გოგნაძე.

მოისმინეს: ვალერი გოგნაძემ აღნიშნა, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ბრძანების საფუძველზე ჩამოყალიბდა მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომლის მიზანია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისათვის რეკომენდაციების წარდგენა.

საბჭოს კომპეტენციაში შედის ხარაგაულის მერის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის, სივრცითი

დაგეგმარების დოკუმენტის, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადების, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტების პროექტების, ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განხილვა.

საბჭო თავისი შემადგენლობიდან ერთი წლის ვადით ირჩევს თავმჯდომარეს და მდივანს.

ვალერი გოგნაძემ საბჭოს მოუწოდა დაასახელონ თავმჯდომარის და მდივნის კანდიდატურები.

აზრი გამოთქვა: ჰამლეტი ბერაძემ, მან საბჭოს თავმჯდომარედ სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლის დირექტორი ვალერი გოგნაძე დაასახელა, ხოლო მდივნად სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეს საჯარო სკოლის დირექტორი ნატო შათირიშვილი.

ვალერი გოგნაძემ მოუწოდა საზოგადოებას კენჭი უყარონ წარმოდგენილ საკითხს.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე:12

წინააღმდეგი: 0

სხდომამ დაადგინა:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იქნას სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლის დირექტორი ვალერი გოგნაძე, ხოლო მდივნად სსიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეს საჯარო სკოლის დირექტორი ნატო შათირიშვილი.

2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე პრეზენტაცია გააკეთა „ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ხუხუამ, მან აღნიშნა, რომ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში პროექტს, „მოქალაქეთა ჩართულობის ზრდა ადგილობრივ თვითმართველობაში“ ახორციელებს,პროექტის ფარგლებში ხარაგაულის მოსახლეობის COBID-19-ის შემდგომი საჭიროების კვლევა ჩატარდა, საბჭოს წევრებს მან ამ კვლევის შედეგები, გამოკვეთილი პრობლემები და შემუშავებული რეკომენდაციები წარუდგინა.

მან აღნიშნა: რომ ჩვენი შეხვედრის მთავარი მიზანია ვიმსჯელოთ ერთობლივად კვლევის შედეგაგ გამოვლენილი საჭიროების ირგვლივ,პროექტის ფარგლებში გამოვავლინეთ პრობლემები და შევიმუშავეთ რეკომენდაციები,რომელიც მუნიციპალიტეტს სარეკომენდაციოდ გადაეცემა, ეს არის საკითხები, რომლებიც ადგილობრივი თვითმართველობის უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება.
ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფას და მოსახლეობის საჭიროებებზე დროულ რეაგირებებს.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ აზრი გამოთქვა ხარაგაულის ზრდასრულთა განათლების ცენტრის მენეჯერმა მანანა ტაბაშიძემ, მან აღნიშნა, რომ რაიონის პრობლემების იდენტიფიცირებაში და გადაჭრის საკითხებში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდას შედეგი ექნება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა შეწყდა.

სხდომის დასრულების დრო 13 საათი

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე: /ვ.გოგნაძე/
მრჩეველთა საბჭოს მდივანი: ნ. შათირიშვილი /ნ. შათირიშვილი/